

შპს "ედიქტი"



ADICT LLC

---

სამედიცინო მაღალტექნოლოგიური დანადგარების ტექნიკური  
მდგომარეობის შეფასების  
ანგარიში

თარიღი: 03 ივნისი, 2019წელი

დამკვეთი: „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“

ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4

საფუძველი: მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება #SP-05.27.2019-52

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

მოწყობილობის დასახელება: კომპიუტერული ტომოგრაფი

მწარმოებელი/მოდელი/სერიული ნომერი: Toshiba/ TSX-303A/BC

SERIAL NO: 1KD1062204 / SOFTWARE: V7.OSP0308 / INSTALLATION DATE: 03.28.2016

სამუშაოს არსი: საინჟინრო მომსახურება - მოწყობილობის არსებული ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, დეფექტების და სავარაუდო დაზიანებული ბლოკების დადგენა, შესაცვლელი ნაწილების ნუსხის, საორიენტაციო ფასებზე ინფორმაციის და რეკომენდაციების შემუშავება

შესავალი

საინჟინრო-დიაგნოსტიკური სამუშაოების განხორციელება განაპირობა

„კომპიუტერული ტომოგრაფის“ გაუმართაობამ, რაც ფიქსირდება 2018 წლის

ივნისიდან დღემდე:

პირველადი შეფასების ანგარიშით, ირკვევა, რომ დაზიანება გამოწვია სისტემის შიდა სიცრცეში დიდი რაოდენობის სითხის, კონტრასტის და პაციენტის ამონაღები მასების მოხვედრამ. განსაკუთრებული დაზიანება მოხდა მთავარი დეტექტორის ელექტრულ დაფებზე. ასევე შიდა ელექტრო გაყვანილობაში შეინიშნებოდა მღრნელების მიერ კაბელების საიზოლაციო გარსის მრავლობითი დაზიანება.

საინჟინრო ჩარევით განხორციელებულა ახალი ელექტრული დაფების

მორიგეობით ჩანაცვლება, შედეგად ოთხი სავარაუდოდ დაზიანებული

დეტალიდან გამოვლინდა ერთი დაზიანებული დაფა.

System model: Aquilion Prime TSX-303A.

Part name: **KTCONT ASSY. Part Number: PX73-18333\*E**

**13.05.2019** სერვისის ანგარიშის მიხედვით გასუფთავებისა და გაშრობის შემდეგ სამი ელექტრული დაფამ დაიწყო ფუნქციონირება, შეიცვალა ერთი ელ. დაფა (KTCONT ASSY; P/N: PX73-18333\*E), თუმცა მოკლე დროში, როგორც მოსალოდნელი იყო, სისტემაზე კვლავ გამოვლიდა ხარვეზები. ჩატარებული დიაგნოსტიკის საფუძველზე



გამოიკვეთა ახალი პრობლემა, რომლის საფუძველზე საჭირო იყო მეორე ელექტრული დაფის- BSX73-1221E\*C QV-ADC შეცვლა.

აღნიშნული ელ.დაფის შეცვლის შემდგომ სისტემამ გამოიტანა ახალი შეცდომა, რომელიც მიუთითებდა მეორე ანალოგიური ელექტრული დაფის BSX73-1221E\* C გაუმართაობაზე და ამჟამად იგივე მდგომარეობა ფიქსირდება.

### დასკვნა

ამჟამად დაზიანებულია დეტექტორის მთავარი ბლოკი(SSMD-DAS) . მასზე არსებული დაფების შეცვლის მიუხედავად ვლინდებოდა დამატებითი პრობლემები, რაც უმეტესად გამოწვეულია ბლოკში მოხვედრილი ქიმიურად აგრესიული ხსნარებით, რაც იწვევს სამონტაჟო ფენის კოროზია-მოშლას, კომპონენტების ფიზიკური მდგომარეობის ცვლილებას რაც მათ სწორად ფუნქციონირებაზეც აისახება.

### რეკომენდაციები

ამ ეტაპზე არსებული დაზიანებების და თანამდევი ტექნიკური დეფექტების ხასიათის გათვალისწინებით საურველია ელექტრული ბლოკების/დაფების გამოცვლა: **BSX73-1221E\* C - 1 ცალი და PX72-07310\*A GR4 SSMD-DAS-ASSY – 1ცალი** (კონექტორების, კაბელების, საკომუნიკაციო არხების ჩათვლით, ნაწილების დემონტაჟი-მონტაჟი, გამართვა, კალიბრაცია საორიენტაციო ღირებულებით სულ მცირე 260,000 ლარი).

დანადგარის ტექნიკური მდგომარეობის და არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით ( სისტემის სხვადასხვა ბლოკებში დიდი რაოდენობის ქიმიურად აგრესიული მასების და საკონტრასტო ნივთიერების მოხვედრა , მღრნელების მიერ კაბელების საიზოლაციო გარსის მრავლობითი დაზიანება), რეკომენდებული ბლოკების/დაფების შეცვლის შემდეგ , დიდი ალბათობით, მოკლე პერიოდში მოსალოდნელია სხვა გაცილებით უფრო ძვირადღირებული ბლოკების/დაფების დაზიანებების გამოვლენა.

პრაქტიკიდან გამომდინარე, მსგავს შემთხვევაში (სისტემის შიდა სიცრცეში, ელექტრონულ ბლოკებში დიდი რაოდენობის აგრესიული მასების მოხვედრა) რეკომენდებულია კომპიუტერული ტომოგრაფის ყველაზე ძვირადღირებული კომპონენტის „გენტრის“ შეცვლა. მისი ღრებულება რამოდენიმე ასეულ ათას ევროს შეადგენს.

შპს „ედიქტის“  
დირექტორი

თ. ჭეცია